

ბიზნესის განწყობის ინდექსი

10.2


გაიზარდა

სადღესასწაულო
სეზონისთვის ოპტიმისტურად
განწყობილი ვაჭრობის
სექტორი

IV კვ 2019

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი მცირე და საშუალო




27



96

კვლევის ძირითადი შედეგები



● ბიზნესის განწყობის ინდექსი
 ● ბიზნესის მოლოდინების ინდექსი
 ● მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი
 ● გასაყიდი ფასების მოლოდინები

- 2019 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) გაუმჯობესდა და 18.5 პუნქტამდე გაიზარდა, რაც 10.2 პუნქტით მეტია წინა კვარტლის მაჩვენებელზე. ბიზნესის განწყობის ინდექსის ყველაზე დიდი ზრდა საცალო ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორებში დაფიქსირდა. აღნიშნულ სექტორებში ბიზნესის განწყობის ინდექსის ზრდა გამოწვეულია როგორც მიმდინარე საქმიანობის შეფასების ზრდით, ისე მოლოდინების გაუმჯობესებით. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა არის ერთადერთი სექტორი, სადაც ბიზნესის განწყობის ინდექსი შემცირებულია.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას ასახავს, 2019 წლის მეოთხე კვარტალში 27.4 პუნქტით არის გაზრდილი.
- წინა კვარტალში მოლოდინების მნიშვნელოვანი გაუარესების შემდეგ ბიზნესის ოპტიმიზმის ინდექსი გაზრდილია და 31.3 პუნქტს შეადგენს.
- საცალო ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორებთან ერთად, გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიზნეს სექტორის ოპტიმიზმის ზრდაში. მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა მოლოდინების შემცირება.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ზომიერად შემცირებულია. მოსალოდნელი ფასები მომსახურების და სოფლის მეურნეობის სექტორებში წინა კვარტალთან შედარებით შემცირებულია, მაშინ როცა სხვა სექტორებში უფრო მაღალ ფასებს ელოდებიან.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი გაუმჯობესებულია როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. მოლოდინები ზომიერად გაუარესდა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის და გაუმჯობესდა დიდი ზომის კომპანიებისთვის.
- საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი შემზღვეველი ფაქტორები დიდი ზომის ბიზნესებისთვის სამუშაო ძალის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კი ფინანსებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად ბიზნესის შემზღვეველი ფაქტორი მოთხოვნის სიმცირეა.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

მცირე და საშუალო



დიდი



სექტორი	კვ IV/19	ცვლილება	ცვლილება
მრეწველობა	0.0		3.8
მშენებლობა	3.4		28.1
ვაჭრობა	23.8		33.2
მომსახურება	27.8		8.5
სოფლის მეურნეობა	22.5		-33.4
საფინანსო სექტორი	-2.3		4.6
სხვა	-5.0		-5.0

მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის ფირმებისთვის. დიდი ზომის კომპანიები დამატებით გამოწვევად სამუშაო ძალის სიმცირესაც ასახელებენ.

ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები IV კვარტალი, 2019 წელი

